

შპს „გარანტია ლუქსი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება-----	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება-----	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება -----	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია-----	5
2. მომზადების საფუძველი-----	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა-----	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები-----	12
5. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან-----	13
6. საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები-----	13
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი-----	13
8. ფინანსური შემოსავალი-----	13
9. ძირითადი საშუალებები-----	14
10. სასაქონლო მატერიალური მარაგები-----	14
11. საგადასახადო აქტივი-----	15
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები-----	16
13. ფული და ფულის ეკვივალენტები-----	16
14. კაპიტალი-----	16
15. სესხები-----	17
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები-----	17
17. პირობითი ვალდებულებები-----	17
18. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან -----	18
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები-----	18

მმართველობითი ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ-----	20
2.ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები-----	20
3. სუბიექტის განვითარების გეგმები-----	21
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა-----	21
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ-----	22
6 წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები-----	22
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები-----	22



ARG Group
Audit, Tax, Legal
Georgia

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გარანტია ლუქსის“ ხელმძღვანელობასა და მეწილეებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ. შპს „გარანტია ლუქსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „გარანტია ლუქსის“ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის მარაგი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობამ მარაგი აღრიცხა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. აუდიტის ჩატარების პროცესში ვერ მოხდა საკმარისი და ობიექტური მტკიცებულებების მოპოვება სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთის დადასტურების მიზნით.

ასევე, აუდიტის პროცესში ვერ მოხდა საკმარისი და ობიექტური მტკიცებულებების მოპოვება ფულადი სახსრების ნაშთის დადასტურების მიზნით.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"- ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების სახჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.



ARG Group
Audit, Tax, Legal
Georgia

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენს შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში. გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიწევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეეძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძველად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვირვებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე. ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს. ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ

ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის. წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;

- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ან გარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორული მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ა., თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.



ARG Group
Audit, Tax, Legal
Georgia

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „არგ გრუპის“-ს სახელით (რეგ. #SARAS-F-961149)
აკაკი ჯამუტაშვილი (რეგ. #SARAS-A-945279) 05 აგვისტო 2025წ

თბილისი, საქართველო.

Akaki
Zhamutashvili
31001005345

Digitally signed by
Akaki
Zhamutashvili
Date: 2025.08.05
19:09:08

შპს „გარანტია ლუქსი“

მოგება/ზარალის ანგარიშგება და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
საქმიანობის შედეგები		
ამონაგები	28,047	26,077
გაყიდვების თვითღირებულება	(14,829)	(13,610)
ცვლილებები მზა პროდუქციის მარაგებსა და დაუმთავრებელ წარმოებაში	0	0
გამოყენებული ნედლეული და მასალები	0	0
საერთო მოგება	13,217	12,466
სხვა საოპერაციო შემოსავალი	330	270
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	(1,078)	(1,076)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(8,491)	(6,385)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	(20)	0
საკონსულტაციო ხარჯი	(5)	(2)
მმართველი კომპანიის მომსახურების ხარჯი	0	0
სარეიტინგო მომსახურების ხარჯი	0	0
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(65)	(52)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	0	0
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(70)	(55)
იჯარის ხარჯი	(121)	(126)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	(10)	(15)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(69)	(75)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(394)	(269)
საოპერაციო მოგება	3,225	4,682
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:	0	0
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
გაცემულ სესხებზე	0	0
სავაჭრო მოთხოვნებზე	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა ფინანსურ აქტივებზე	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებიდან/ვალდებულებებიდან, მოგება (ზარალში) ასახვით	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან ან გადაფასებიდან	0	0

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) აქტივების საწყისი აღიარების დროს	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ვალდებულებების საწყისი აღიარების დროს	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან და გადაფასებიდან	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) შვილობილი, მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების გაყიდვიდან	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სხვა	0	0
გაუფასურების ხარჯი ძირითადი საშუალებებიდან	0	0
გაუფასურების ხარჯი არამატერიალური აქტივებიდან	0	0
გაუფასურების (ხარჯი) / რევერსირება სხვა აქტივებზე	0	0
მეკავშირე საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი	0	0
ერთობლივი საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(45)	(41)
სხვა ფინანსური შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
სხვა ფინანსური ხარჯი	0	0
მოგება / (ზარალი) სესხის ვადამდელი დაფარვიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(5)	10
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	3,175	4,651
მოგების გადასახადის ხარჯი	(153)	(587)
მოგება / (ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	3,022	4,064
მოგება / (ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	3,022	4,064
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	0	0
შემდგომში რეკლასიფიცირებული იქნება მოგებაში ან ზარალში როდესაც შესრულდება გარკვეული პირობები (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით / გათვალისწინებით):	0	0
რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასებიდან	0	0
გაყიდული რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვის რეკლასიფიცირება მოგებაში ან ზარალში	0	0
ფულადი ნაკადების ჰეჯირების წმინდა ეფექტი	0	0
ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების:	0	0
უცხოურ ქვედანაყოფებთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობები	0	0
წილი რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვში	0	0

სავალო ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება (სხვა სრულ შემოსავალში ასახვით)	0	0
სხვა სრული შემოსავლის სხვა მუხლები (რეკლასიფიცირების უფლებით)	0	0
შემდგომში არ შეიძლება რომ რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით / გათვალისწინებით):	0	0
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება (სხვა სრულ შემოსავალში ასახვით)	0	0
სხვა სრული შემოსავლის სხვა მუხლები (რეკლასიფიცირების უფლების გარეშე)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	3,022	4,064
საბაზისო მოგება / (ზარალი) ერთ აქციაზე:	0	0
განგრძობითი ოპერაციებიდან	0	0
შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0	0
გაზავებული მოგება / (ზარალი) ერთ აქციაზე:	0	0
განგრძობითი ოპერაციებიდან	0	0
შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0	0
	0	0
კვლევისა და განვითარების ხარჯები	0	0

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 05
აპრილის 05-ის შიდა დოკუმენტის მიერ:

**Nana
Kalichava**
01005005613

Digitally signed
by Nana
Kalichava
Date: 2025.08.05
16:05:10

ნანა კალიჩავა

დირექტორი

ხათუნა მარკოზაშვილი

მთავარი ბუღალტერი

(5-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს)

შპს „გარანტია ლუქსი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	715	143
შეზღუდული ფული და ფულის ეკვივალენტები	0	0
მოთხოვნები ბანკების მიმართ	0	0
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	0	0
წარმოებული ფინანსური აქტივები	0	0
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები		
მოგებაში ან ზარალში ასახვით	0	0
სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	218	740
გაცემული სესხები	0	0
მინუს: სესხების გაუფასურების ანარიცხი	0	0
მოკლევადიანი მარაგები	2,915	1,248
გრძელვადიანი მარაგები	0	0
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,606	6,034
რეალიზებადი წილობრივი მონაწილეობის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	0	0
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები		
სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	0	0
ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით	0	0
საიჯარო მოთხოვნები	41	32
საინვესტიციო ქონება	0	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	0	0
წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი	0	0
გადავადებული საგადასახადო აქტივები	23	0
სხვა საგადასახადო აქტივი	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	8	10
ძირითადი საშუალებები	3,917	3,981
გასაყიდად გამოზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები	0	0
სულ აქტივები	14,443	12,188
ვალდებულებები	0	0
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	0	0

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური		
ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით	0	0
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	0	0
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	561	304
სხვა ფინანსური ვალდებულებები	0	0
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	0	0
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0
ანარიცხები	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0
გადასახდელი დივიდენდები	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3	163
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	0	0
მომხმარებელთა ლოიალურობის პროგრამები	0	0
მიღებული გრანტები	0	0
სუბორდინირებული სესხი	0	0
გასაყიდად გამიზნულ შეწყვეტილ ოპერაციებთან პირდაპირ		
დაკავშირებული ვალდებულებები	0	0
სულ ვალდებულებები	564	466
საკუთარი კაპიტალი	0	0
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის		
შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	0	0
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების		
გადაფასების რეზერვი	0	0
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	13,879	11,721
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	13,879	11,722
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	14,443	12,188
სულ მოკლევადიანი აქტივები	10,518	8,197
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	564	466
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0

(5-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს)

შპს „გარანტია ლუქსი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	-	10,986	10,986
წლის სრული შემოსავალი		4,064	4,064
განაწილებული დივიდენდი		-3,328	-3,328
31 დეკემბერი 2023	-	11,722	11,722
წლის სრული შემოსავალი		3,021	3,021
განაწილებული დივიდენდი		-864	-864
31 დეკემბერი 2024	-	13,879	13,879

(5-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს)

შპს „გარანტია ლუქსი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	22,846	23,638
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	-	-
მიღებული ავანსები	-	-
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(17,362)	(13,709)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(847)	(850)
სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება	(3)	-
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხა	-	-
ბანკის მომსახურება	(9)	(7)
გადახდილი გადასახადები	(3,164)	(3,332)
გადახდილი საპენსიო გადასახადი	(27)	(28)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	(3,191)	5,712
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(16)	(2,471)
ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობანი	16	-
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა	-	-
გრძელვადიანი ინვესტიციების გასვლიდან შემოსულობანი	-	-
მიღებული პროცენტები	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
მიღებული მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან	-	-
სხვა შემოსულობანი / განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	-	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	0	(2,471)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
შემოსულობანი აქციების ემისიისაგან / კაპიტალის ზრდისაგან	-	-
საკუთარი აქციების გამოსყიდვა ან გაცემები კაპიტალის შემცირების გამო	-	-
სესხების აღება	-	-
სესხების დაფარვა	-	-
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა	-	-
გადახდილი პროცენტები	-	-
გადახდილი დივიდენდები	(818)	(3,162)
გადახდილი მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან	-	-
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	-	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(818)	(3,162)
ვალუტის კურსის ცვლილ. გამოწ. ზრდა / კლება (ნეტო)	(45)	(40)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	571	39
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	143	104
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	715	143

(5-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს)

**შპს „გარანტია ლუქსი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის**

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

„გარანტია ლუქსი“ (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2008 წლის 11 სექტემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი 206334439.; დირექტორი: ნანა ყალიჩავა (პ/ნ 01005005613).).

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა სხვა საკვებით, საბითუმო ვაჭრობა შოკოლადი და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით; საბითუმო ვაჭრობა ყავით ჩაით კაკაოთი და სანელებლებით; საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს წარმოადგენს საქართველო, თბილისი. ისნის რაიონი, მარტვილის ქ.4; კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი. ისნის რაიონი, მარტვილის ქ.4.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 80%-იანი წილის მესაკუთრეა-ალექსანდრე კეჭერაშვილი (პ/ნ 01011000874); 20%-იანი წილის მესაკუთრე რომან კეჭერაშვილი (პ/ნ 01024071041).

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს, საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე. თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის

შპს „გარანტია ლუქსი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა. ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესახამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები ისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესახამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6894	2,9753

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, სახანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

• **აღიარება და შეფასება:** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები:** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ. თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ, ჩანაცვლებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივის სახალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **დაუმთავრებელი მშენებლობა:** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება მოიცავს მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებულ მასალებს და შრომის ანაზღაურებას იმ ძირითადი საშუალებების ცვეთას, რომელიც მონაწილეობას ღებულობს. მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

• **ცვეთა:** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, აწუ როდესაც ის არის იმ ადგილას. ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში. მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება სახალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მანქანა დანადგარები	10-15
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და საოფისე ინვენტარი	5-10
სხვა	5-10

არამატერიალური აქტივები.

- ა) **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით) დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ა) **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად.

ჯგუფი ვადა	სასარგებლო მომსახურების
საბუღალტრო პროგრამები	5-10 წელი
სხვა	5-10 წელი

სასაქონლო მატერიალური მარაგები. მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელი მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხე პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი, გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად. თანხას. როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კოსპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტის მიმდინარე სახალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული - სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიის. თუ არსებობს. საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო - მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში დარიცხვის მეთოდით დაკლასიფიცირდება როგორც ფინანსური შემოსავალი.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში. წმინდა განაწილების 15/85 -ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გაშოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოუშვებთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში ისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომელიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა). კლიენტებისგან. მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირი ახორციელებს შენატანს მისი დაუბეგრავი შემოსავლის 2%-ის ოდენობით. ასევე დამსაქმებელს შემოსავლის 2% თითოეულს. შედეგად, ხელფასის და მასთან გათანაბრებული სარგებლის 6% დასაქმებულის, დამსაქმებლისა და სახელმწიფოს მხრიდან ირიცხება დასაქმებულის დაგროვებით ანგარიშზე, რომელსაც მართავს საპენსიო სააგენტო. კომპანიის მიერ ანაზღაურებული საპენსიო შენატანები აღიარებულია შესახამის სახელფასო ხარჯთან ერთად დარიცხვის პრინციპით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. კომპანია ამონაგებს აღიარებს. დაპირებული საქონლის მომსახურების გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის/მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს საცალო ვაჭრობა პური, ნამცხვრებით, ფქვილოვანი და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით, არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა საკვებით, სასმელებით და თამბაქოს ნაწარმით, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან ფასდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე მომსახურებაზე შეთანხმებული კომპენსაციის თანხას. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება, ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

-)/ მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან. მოსახმარებლად. მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ისახება სავაჭრო მიზნებისთვის.
-)/ მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
-)/ ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდვის რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდი. დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

-)/ მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
-)/ ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
-)/ მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
-)/ არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში. მიღებული ფაქტიური შედეგი. შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის. აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება:** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლი აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები საღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

შპს „გარანტია ლუქსი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	2024	2023
სულ აღიარებული შემოსავალი	28,047	26,077
აღიარებული წინა პერიოდებში	-	-
წლის შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	28,047	26,077
დღგ განაკვეთი	18%	18%
მოთხოვნა	6,606	6,034

6. საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

	2024	2023
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(14,829)	(13,610)
სხვა ხარჯები	-	-
სულ	(14,829)	(13,610)

7. საერთო ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(1,078)	(1,076)
საპენსიო ხარჯი	(13)	(13)
საკონსულტაციო ხარჯი	(5)	(2)
ცვეთის ხარჯი	(69)	(75)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(9)	(7)
საწვავის ხარჯი	(141)	(150)
მარკეტინგის ხარჯი	(8,491)	(6,385)
იჯარის ხარჯი	(121)	(126)
სხვა ხარჯი	(396)	(221)
სულ	(10,323)	(8,055)

8. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი წარმოადგენს საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებზე დარიცხულ პროცენტს. 2024 წელს მიმდინარე ანგარიშებსა და დეპოზიტებზე დარიცხულმა სარგებელმა შეადგინა 0 ლარი (2023 წელს 0 ლარი).

შპს „გარანტია ლუქსი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენობა ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და საოფისე ინვენტარი	სულ ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2022	446	70	543	261	1,320
შემოსვლა	182	-	-	2	184
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-47	-2	-49
31 დეკემბერი 2023	628	70	496	261	1,455
შემოსვლა			16		
გასვლა/ჩამოწერა			-49		
31 დეკემბერი 2024	628	70	463	261	1455
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2022	-75	-63	-336	-181	-655
ცვეთის ხარჯი	-21	-1	-36	-14	-72
გასვლა			39	2	41
31 დეკემბერი 2023	-96	-64	-333	-193	-686
ცვეთის ხარჯი	-25	-1	-28	-12	
გასვლა			35		
31 დეკემბერი 2024	-121	-65	-326	-205	-686
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2023	532	6	163	68	769
31 დეკემბერი 2024	507	5	137	56	769

10. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სარეალიზაციოდ გამიზნული მარაგები	2,897	1231
სათადარიგო და სახარჯი მასალები	18	17
სხვა მარაგი	-	-
სულ	2,915	1,248

11. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოდგომულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად, დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით, დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი. აღიარდება - როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდის განაწილებაზე გადაწყვეტილების მიღებისას. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში. ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯებიან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება მოგების გადასახადის მოქმედების არეალს და აღიარდება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

**შპს „გარანტია ლუქსი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის**

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიწოდებაზე გადახდილი ავანსები	218	740
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6,647	6,066
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ბრუტო	6,865	6,806
საექვო და უიმედო ვალების რეზერვი	-	-
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,865	6,806

საექვო და უიმედო ვალების რეზერვის მოძრაობა:

	სავაჭრო მოთხოვნები
31 დეკემბერი 2022	-
მოგება-ზარალში აღიარებული რეზერვის გამოყენება	-
31 დეკემბერი 2023	-
მოგება-ზარალში აღიარებული ხარჯი	-
31 დეკემბერი 2024	-

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიას 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ეროვნულ ვალუტაში მიმდინარე ანგარიშებზე ერიცხება 142 ლარი. ნაღდი ფული საღარიშში ეროვნულ ვალუტაში 1 ლარი.

14. კაპიტალი

შპს „გარანტია ლუქსის“ 80%-ნი 80%-იანი წილის მესაკუთრეა-ალექსანდრე კეჟერაშვილი (პ/ნ 01011000874); 20%-იანი წილის მესაკუთრე რომან კეჟერაშვილი (პ/ნ 01024071041)..

2024 წლის 01 იანვრიდან საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე არ შეცვლილა კომპანიის მეწილე.

2024 გამოცხადებულმა დივიდენდმა შეადგინა 861 ლარი, ხოლო 2023 წელს 3,328 ლარი.

**შპს „გარანტია ლუქსი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის**

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. სესხები

კომპანიას მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში სესხები არ ჰქონია.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	561	304
გადასახდელი ხელფასები	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ბრუტო	561	304

17. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას. არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები. ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

შპს „გარანტია ლუქსი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

18. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანია	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები დაკავშირებული მხარის მიმართ	მაკონტროლებელი მხარე	-	-
კომპანია	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
რეალიზაცია დაკავშირებული მხარეზე	მაკონტროლებელი მხარე	-	-
		2024	2023
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასი		-	-

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 31 დეკემბრის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენას.

შპს „გარანტია ლუქსი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შპს „გარანტია ლუქსი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს „გარანტია ლუქსი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „გარანტია ლუქსი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის დირექტორია ნანა ყალიჩავა, დირექტორს ნიშნავს კომპანიის დამფუძნებელი

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებაა: საბითუმო ვაჭრობა სხვა საკვებით, საბითუმო ვაჭრობა შოკოლადი და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით; საბითუმო ვაჭრობა ყავით ჩაით კაკაოთი და სანელებლებით; საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები.

კომპანიის შემოსავლებმა 2024 წელს - 28,377 ლარი ხოლო, 2023 წელს შეადგინა - 26,347. რაც შემოსავლების ტიპების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	2024	2023
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	28,047	26,077
შემოსავალი სამშენებლო საქმიანობიდან	-	-
შემოსავალი სხვა საქმიანობებიდან	330	270
ჯამი	28,377	26,347

შპს „გარანტია ლუქსი“ ინვესტიციებს სხვა კომპანიებში არ ფლობს,

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის მდგომარეობით კომპანიის შემოსავალი 28,377 ლარია, რაც 2023 წლის ანალოგიურ მონაცემს 0,08%-ით აჭარბებს. შემოსავლის მატება ძირითადად საქონელზე გაზრდილი მოთხოვნით იყო განპირობებული.

შპს „გარანტია ლუქსი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)
ძირითადი კოეფიციენტები:

	2024	2023
სულ შემოსავალი	28,377	26,347
სულ აქტივები	14,443	12,188
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	45	44
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Current Ratio)	18.65	17.57
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quit latin)	13.48	14.90
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	10.64	4.58
დებიტორების ბრუნვა (დღე)	82.25	85.01
მარაგების ბრუნვა (დღე).	51.23	50.56
უკუგება კაპიტალზე	0.24	0.36

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები შპს „გარანტია ლუქსის“ თანამშრომელთა რაოდენობა წლის განმავლობაში 44-45 მდე მერყეობდა შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება-დასაქმების მიზნით, კომპანიას აქვს შესაბამისი დასაქმების პოლიტიკა.

კომპანიის მენეჯმენტი ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობით უდგება არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან. კომპანია, დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციებისა და რენტაბელობის გაძლიერება.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა.

კომპანია გეგმავს ახალი ტექნოლოგიების დაწერგვას საოპერაციო საქმიანობაში.

საწარმოო სიმბლავრების გაწვითარება

კომპანია გეგმავს ახალი დანადგარების შეძენას საოპერაციო საქმიანობის ოპტიმიზაციისათვის.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2024	2023
ძირითადი საშუალებები ნეტო	3,925	3,991
ფული და ფულის ექვივალენტები	715	143
მიღებული სესხები	-	-

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე, შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2024	2023
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3694,6	3694,6
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	33,80	30,8
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ერთეული აშშ დოლარი	9141,4	8284
მშპ-ის რეალური ზრდა, %	9,4%	7,8%
საშუალო წლიური ინფლაცია	1,9%	2,58%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1333,8	1902,20
უმუშევრობის დონე, %	13,9%	16,4%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე. თუმცა არსებითად არის დამოკიდებული ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოზე. ბიზნესის რენტაბელობა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყანაში მრეწველობის დარგებში არსებულ ტენდენციებზე. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს, ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების. ანგარიშგებაში კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთის მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული ფინანსური რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით. კომპანია არ იყენებს სავალუტო რისკის დაზღვევისთვის რაიმე ტიპის ინსტრუმენტებს

შპს „გარანტია ლუქსი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

გარდა თავისუფალი ფულადი სახსრებით უცხოურ ვალუტაში არსებული საკრედიტო ხაზის დაფარვის პრიორიტეტულობა. კურსებთან დაკავშირებული მოლოდინების გათვალისწინებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი.

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

-)] უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
-)] გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და მენარჩუნებით

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 04 აგვისტოს.

Nana
Kalichava
01005005613

Digitally signed
by Nana
Kalichava
Date: 2025.08.05
16:03:07

ნანა ყალიჩავა

დირექტორი

ხათუნა მარკოზაშვილი

მთავარი ბუღალტერი